პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 177 (12091) | შაბათი, 5 აგვისტო 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ქვეყნდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტი.

წესდების პროექტი, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, ქვეყნდება საყოველთაოდ განსაცნობად და სკკპ ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის განსახილველად. განხილვის შედეგები განზოგადდება და იქნება წესდების პროექტის საბოლოო განხილვისას.

პარტიის ახალი წესდება შეტანილ იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის განსახილველად და დასამტკიცებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

პროექტი

წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის მებრძოლი ნაცადი ავანგარდია, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე აერთიანებს სსრ კავშირის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე შეგნებულ ნაწილს.

ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულმა კომუნისტურმა პარტიამ, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმმა, ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე მიიყვანა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, შეიქმნა და განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა.

პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. პარტია ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად შემოქმედებითს საქმიანობას, ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს აძლევს მის ბრძოლას საბოლოო მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების მიღწევისათვის.

სკკპ თავის მუშაობას აშენებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელად დაცვის, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების ურღვევი კანონია მისი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, მონოლითურობა, ყველა კომუნისტის მაღალი შეგნებული დისციპლინა. ფრაქციულობისა და ჯგუფურობის რაიმე გამოვლინება შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან, პარტიაში ყოფნასთან.

მთელ მოღვაწეობაში სკკპ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, მის საფუძველზე შემუშავებული პროგრამით, რომელშიც განსაზღვრულია პარტიის ძირითადი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების აშენების პერიოდისათვის.

სკკპ შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმს და გადაჭრით ებრძვის რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის ყოველ გამოვლინებას, რომლებიც სრულიად უცხოა რევოლუციური თეორიისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი, შემადგენელი ნაწილია. იგი მტკიცედ დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცად მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე, აქტიურად უწყობს ხელს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის, ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიად არმიასთან ძმური კავშირის განმტკიცებას.

I.

პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად იღებს მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში, მუშაობს ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს და იხდის საწევრო შესატანს.

2. პარტიის წევრი მოვალეა:

ა) იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს;

ბ) მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, განუმარტავდეს მასებს პარტიის პოლიტიკას, ხელს უწყობდეს ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას, იჩენდეს გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანებისადმი, დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს;

გ) აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეების მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მაგალითს იძლეოდეს საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას;

დ) ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას. ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველ გამოვლინებას. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებსა და წარსულის სხვა გადმონაშთებს. იცავდეს კომუნისტური მორალის წესებს, პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) აქტიურად ავრცელებდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს მშრომელთა მასებში. იბრძოდეს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, სიტყვითა და საქმით უწყობდეს ხელს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებთან, ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და მშრომელებთან საბჭოთა ხალხის ძმური კავშირის განმტკიცებას;

ვ) ყოველი ღონისძიებით იცავდეს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, იცავდეს პარტიას მის რიგებში ისეთი ადამიანების შეღწევისაგან, რომლებიც არ არიან კომუნისტის მაღალი წოდების ღირსნი, მართალი და პატიოსანი იყოს პარტიის წინაშე. იჩენდეს სიფხიზლეს, იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას;

ზ) ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გაბედულად ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პასუხისმგებლობის, თავგასულობის, თვითდამშვიდების, კუთხურობის წინააღმდეგ, მტკიცე წინააღმდეგობას უწევდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველ ცდას, იბრძოდეს ყოველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს, და აცნობებდეს ასეთ მოქმედებას პარტიულ ორგანოებს, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტამდე;

თ) განუხრელად ახორციელებდეს პარტიის ხაზს კადრების შერჩევაში მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით. იყოს შეურიგებელი ყველა შემთხვევაში, როცა ირღვევა კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპები;

ი) იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტიას აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვით და რა პოსტი უჭირავთ მათ.

3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში;

ბ) თავისუფლად განიხილავდეს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, პარტიული კომიტეტების სხდომებზე და პარტიულ პრესაში პარტიის პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს, შეჰქონდეს წინადადებანი, აშკარად გამოთქვამდეს და იცავდეს თავის აზრს, სანამ ორგანიზაცია გადაწყვეტილებას მიიღებდეს;

გ) აკრიტიკებდეს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, კომიტეტების პლენუმებზე რომელიც უნდა იყოს, კომუნისტი, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უჭირავს მას. ის პირნი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კრიტიკის ჩახშობაში და კრიტიკოსათვის დევნაში, მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში, თვით სკკპ რიგებიდან გარიცხვამდე;

დ) პირადად მონაწილეობდეს პარტიულ კრებებში, ბიუროებისა და კომიტეტების სხდომებში, როცა განიხილავენ მისი საქმიანობისა თუ ქცევის საკითხს;

ე) მიმართავდეს შეკითხვებით, განცხადებებითა და წინადადებებით, რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტამდე, და მოითხოვდეს არსებით პასუხს თავის მიმართვაზე.

4. პარტიის წევრად მიღება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური წესით. პარტიის წევრად მიიღებიან შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმის ერთგული მშრომელები მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის რიცხვიდან. ახალი წევრები მიიღებიან კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც გავლილი აქვთ დაწესებული საკანდიდატო სტაჟი.

პარტიაში მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ. ახალგაზრდები 20 წლის ასაკამდე ჩათვლით პარტიაში შედიან მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ მეშვეობით.

კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიღების წესი:

ა) პარტიის წევრად შემსვლელი წარადგენს რეკომენდაციებს პარტიის სამი წევრისაგან, რომლებსაც აქვთ სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟი და რეკომენდებულს იცნობენ სულ ცოტა ერთი წლის ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით.

შენიშვნა პირველი. პარტიაში სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა მიღებისას სრულიად საკავშირო ალკკ რაიონული კომიტეტის რეკომენდაცია უდრის პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციას.

შენიშვნა მეორე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები თავს იკავებენ რეკომენდაციების მიცემისაგან.

ბ) პარტიაში მიღების საკითხს განიხილავს და წყვეტს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება; მისი გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს პარტიის რაიკომი. ხოლო იმ ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფა არ არის, — საქალაქო კომიტეტი.

პარტიაში მიღების საკითხის განხილვისას რეკომენდაციის მიმცემთა დასწრება სავალდებულო არ არის;

გ) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებიც წინათ სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წევრები იყვნენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიიღებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.

ის პირნი, რომლებიც წინათ სხვა პარტიებში ყოფილან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიიღებიან საერთო საფუძვლებზე, მაგრამ სავალდებულოა, რომ მიღება დაამტკიცოს საოლქო კომიტეტმა, სამხარეო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

5. რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან პარტიული ორგანიზაციების წინაშე რეკომენდებულთა საქმიანი და პოლიტიკური თვისებების დახასიათების ობიექტურობისათვის.

6. პარტიის წევრად შემსვლელთა პარტიული სტაჟი ითვლება იმ დღიდან, რაც პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება გამოიტანს გადაწყვეტილებას პარტიის წევრად ამ კანდიდატის მიღების შესახებ.

7. პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა აღრიცხვისა და ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაში მათი გადასვლის წესი განისაზღვრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი ინსტრუქციებით.

8. პარტიის იმ წევრთა და კანდიდატთა საკითხს, რომლებსაც საპატიო მიზეზების უქონლად სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდიათ საწევრო შესატანი, განიხილავს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. თუ ამასთან გამოირკვა, რომ პარტიის ამ წევრმა ან წევრობის კანდიდატმა ფაქტიურად დაკარგა კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან, იგი ითვლება პარტიიდან გასულად, რაზეც პირველადს პარტიულ ორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება და შეაქვს იგი პარტიის რაიონული თუ საქალაქო კომიტეტის დასამტკიცებლად.

9. საწესდებო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და სხვა გადაცდომისათვის პარტიის წევრი მიეცემა პასუხისგებაში და მას შეიძლება დაედოს სასჯელი: შენიშვნის მიცემა, საყვედურის (სასტიკი საყვედურის) გამოცხადება, საყვედურის (სასტიკი საყვედურის) გამოცხადება საღირიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელის უმაღლესი ზომაა პარტიიდან გარიცხვა.

აუცილებელ შემთხვევებში პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია პარტიული სასჯელის ზომის სახით გადაიყვანოს პარტიის წევრი კანდიდატად ერთ წლამდე ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება პარტიის წევრის კანდიდატად გადაყვანის შესახებ უნდა დაამტკიცოს პარტიის რაიონულმა ან საქალაქო კომიტეტმა. კანდიდატად გადაყვანილი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პარტიის წევრად მიიღება საერთო საფუძველზე და მას ენახება წინანდელი პარტიული სტაჟი.

უმნიშვნელო გადაცდომისათვის მიღებულ უნდა იქნას პარტიული აღზრდისა და ზემოქმედების ზომები ამხანაგური კრიტიკის, პარტიული გაკიცხვის, გაფრთხილების ან მითითების სახით.

პარტიიდან გარიცხვის საკითხის გადაჭრისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაქსიმუმი სიფრთხილე, ყურადღება და პარტიის წევრისათვის წაყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობის გულდასმით გარჩევა.

10. პარტიიდან კომუნისტის გარიცხვის საკითხს წყვეტს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება. პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ ამას ხმას მისცემს კრების დამსწრე პარტიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი, და ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ვიდრე საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებდეს გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გარიცხვის შესახებ, პარტიული ბილეთი კომუნისტს ხელზე რჩება, და მას უფლება აქვს ესწრებოდეს დახურულ პარტიულ კრებებს.

პარტიიდან გარიცხულს უფლება რჩება ორი თვის ვადაში შეიტანოს აპელაცია ზემდგომ პარტიულ ორგანოებში, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტამდე.

11. მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრების, წევრობის კანდიდატების, აგრეთვე სარევიზიო კომისიათა წევრების პარტიულ პასუხისგებაში მიცემის საკითხს განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი ამ პარტიული კომიტეტების წევრთა და წევრობის კანდიდატთა და სარევიზიო კომისიების წევრთათვის სასჯელის დადების შესახებ მიიღება ჩვეულებრივი წესით.

პარტიული ორგანიზაციების წინადადებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გარიცხვის შესახებ ეცნობება შესაბამის პარტიულ კომიტეტს, რომლის წევრიც არის ეს კომუნისტი. გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრების. წევრობის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიათა წევრების პარტიიდან გარიცხვის შესახებ გამოაქვს შესაბამისი კომიტეტის პლენუმს მის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრის პარტიიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს პარტიის ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში — ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური კომიტეტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

12. თუ პარტიის წევრმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, იგი გაირიცხება პარტიიდან და მიეცემა პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

13. პარტიიდან გარიცხულთა ან სასჯელდადებულთა აპელაციებს, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს პარტიიდან გარიცხვის შესახებ განიხილავენ შესაბამისი პარტიული ორგანოები ამ აპელაციების შემოსვლის დღიდან სულ დიდი ერთი თვის ვადაში.

II.

პარტიის წევრობის კანდიდატები

14. პარტიაში შემსვლელი ყველა პირი გადის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გაეცნოს სკკპ პროგრამასა და წესდებას და მოემზადოს პარტიის წევრად შესვლისათვის. პარტიული ორგანიზაცია უხდა დაეხმაროს კანდიდატს სკკპ წევრად შესვლისათვის მომზადებაში და შეამოწმოს მისი პირადი თვისებანი.

საკანდიდატო სტაჟის ვადად წესდება ერთი წელიწადი.

15. კანდიდატად მიღების წესი (ინდივიდუალური მიღება, რეკომენდაციების წარდგენა, პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება მიღების შესახებ და მისი დამტკიცება) იგივეა, რაც პარტიის წევრად მიღებისას.

16. საკანდიდატო სტაჟის გასვლის შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაცია განიხილავს და წყვეტს პარტიის წევრად კანდიდატის მიღების საკითხს. თუ საკანდიდატო სტაჟის გავლის მანძილზე კანდიდატმა ვერ გამოიჩინა თავი და თავისი პირადი თვისებებით არ აღმოჩნდა სკკპ წევრად მიღების ღირსი, პარტიულ ორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ მას უარი ეთქვა პარტიის წევრად მიღებაზე, და მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი, იგი ითვლება სკკპ წევრობის კანდიდატობიდან გასულად.

17. პარტიის წევრობის კანდიდატები მონაწილეობას იღებენ პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობაში და პარტიულ კრებებზე სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით. პარტიის წევრობის კანდიდატები არ შეიძლება არჩეულ იქნან ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, პარტიული კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატებად.

18. სკკპ წევრობის კანდიდატები იხდიან პარტიულ შესატანს იმავე ოდენობით, როგორც პარტიის წევრები.

III.

პარტიის ორგანიზაციული წყობა. შინაპარტიული დემოკრატია

19. პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ნიშნავს:

ა) პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე;

ბ) პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას თავიანთი პარტიული ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე;

გ) მტკიცე პარტიულ დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

დ) ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა უცილობელ სავალდებულობას ქვემდგომი ორგანოებისათვის.

20. პარტია შენდება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით: პირველადი ორგანიზაციები იქმნებიან კომუნისტთა მუშაობის ადგილის მიხედვით და ერთიანდებიან რაიონულ, საქალაქო და სხვ. ორგანიზაციებად ტერიტორიის მიხედვით. ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევს მოცემულ ტერიტორიას, უმაღლესია ყველა პარტიული ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ტერიტორიის ნაწილებს.

21. ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, თუ ეს გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან პარტიის პოლიტიკას.

22. პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა: საერთო კრება (პირველადი ორგანიზაციებისათვის), კონფერენცია (რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო ორგანიზაციებისათვის), ყრილობა (მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის).

23. საერთო კრება, კონფერენცია ან ყრილობა ირჩევს ბიუროს ან კომიტეტს, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოები არიან და ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციის მთელ მიმდინარე მუშაობას.

24. პარტიული ორგანოების არჩევნები ხდება დახურული (ფარული) კენჭისყრით. პარტიის ყველა წევრს არჩევნების დროს აქვს შეუზღუდავი უფლება-აცილება მისცეს კანდიდატებს და გააკრიტიკოს ეს უკანასკნელნი. კენჭისყრა უნდა წარმოებდეს ცალკე თითეული კანდიდატურის მიხედვით. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებსაც ხმა მისცა კრების, კონფერენციის თუ ყრილობის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

25. პარტიული ორგანოების არჩევნების დროს დაცულ უნდა იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

(გაგრძელება)

განაწილებისა და ხელმძღვანელობის თანამომდევნობის პრინციპი.

ყოველ მორიგ არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მეოთხედით. პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი სამი მოწვევის ვადით ზედიზედ. პარტიის ესა თუ ის მოღვაწენი, მათ აღიარებული ავტორიტეტის, მაღალი პოლიტიკური, ორგანიზატორული და სხვა თვისებების გამო, შეიძლება არჩეულ იქნან ხელმძღვანელ ორგანოებში ზედიზედ უფრო ხანგრძლივი ვადით. ამ შემთხვევაში შესაბამისი კანდიდატი არჩეულად ითვლება იმ პირობით, თუ მან დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღო ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მესამედით ყოველ მორიგ არჩევნებში; პარტიის საოკრუგო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომების ან ბიუროების შემადგენლობა — სანახევროდ, ამასთან ამ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ზედიზედ სულ დიდი სამი ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნენ ზედიზედ სულ დიდი ორი მოწვევის ვადით.

პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში აირჩიოს ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ასეთ შემთხვევაში არჩევისათვის საჭიროა კენჭისყრის მონაწილე კომუნისტთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

პარტიის წევრები, რომლებიც გამოაკლდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს შემადგენლობას მათი იქ ყოფნის ვადის გასვლის გამო, შეიძლება კვლავ არჩეულ იქნან შემდგომი არჩევნების დროს.

26. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი მთელი თავისი საქმიანობით უნდა ამართლებდეს მაღალ ნდობას, რომელიც მას პარტიამ აღმოუჩინა. თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ან წევრობის კანდიდატმა შეწყალა თავისი სახელი და ღირსება, იგი არ შეიძლება დარჩეს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ცენტრალური კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი წყდება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დახურული (ფარული) კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის სულ ცოტა ორმა მესამედმა.

პარტიული ორგანოს შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის გამოყვანის საკითხს წყვეტს შესაბამისი კომიტეტის პლენუმი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მას ხმას მისცემს ამ კომიტეტის ყველა წევრის სულ ცოტა ორი მესამედი.

თუ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ვერ ამართლებს მაღალ ნდობას, რომელიც მას პარტიამ აღმოუჩინა, იგი გამოყვანილ უნდა იქნას კომისიის შემადგენლობიდან. ეს საკითხი წყდება ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომაზე. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ამა თუ იმ წევრის გამოყვანას კომისიის შემადგენლობიდან დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს ხმა მისცა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ყველა წევრის სულ ცოტა ორმა მესამედმა.

საკითხი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრთა გამოყვანის შესახებ ამ კომისიების შემადგენლობიდან წყდება შესაბამისი კომისიების სხდომებზე იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია პარტიული კომიტეტების წევრთა და წევრობის კანდიდატთათვის.

27. პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში ან მთლიანად პარტიაში პარტიის წევრის განუყოფელი უფლება და შინაპარტიული დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი პრინციპია. მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული დისციპლინა, რომელიც შეგნებული უნდა იყოს და არა მექანიკური.

ცალკეული ორგანიზაციების ან მთლიანად პარტიის ფარგლებში შესაძლებელია დისკუსიები სადავო ან არასაკმაოდ ნათელ საკითხებზე.

საერთოპარტიული დისკუსია საჭიროა, თუ:

ა) ამ საჭიროებას ცნობს საოლქო, რესპუბლიკური მასშტაბის რამდენიმე პარტიული ორგანიზაცია;

ბ) თუ ცენტრალური კომიტეტის შიგნით არ არის საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში;

გ) თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ ცნობს მოეთათბიროს მთელ პარტიას პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხზე.

ფართო დისკუსია, განსაკუთრებით კი სრულიად საკავშირო მასშტაბის დისკუსია პარტიული პოლიტიკის საკითხებზე, უნდა წარმოებდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პარტიის წევრების შეხედულებათა თავისუფალი გამოვლინება და გამორიცხული იყოს შესაძლებლობა ცდებისა — წარმოქმნან ფრაქციული დაჯგუფებანი, რომლებიც არღვევენ პარტიის ერთიანობას, შესაძლებლობა პარტიის გათიშვის ცდებისა.

28. პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია კოლექტიურობა — პარტიული ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობის, კადრების სწორი აღზრდის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარების უცილობელი პირობა. პიროვნების კულტი და მასთან დაკავშირებული დარღვევები შინაპარტიული დემოკრატიისა შეუწყნარებელია პარტიაში. შეუთავსებელია პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებთან.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობა როდი ხსნის მუშაკებს პერსონალურ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

29. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები სისტემატურად აწვდიან პარტიულ ორგანიზაციებს ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შესახებ.

30. პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსახილველად და მათი განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად. აგრეთვე ადგილობრივი ცხოვრების საკითხების განსახილველად იმართება რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების აქტივის კრებები.

IV.

პარტიის უმაღლესი ორგანოები

31. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა. მორიგი ყრილობები მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. პარტიული ყრილობის მოწვევა და დღის წესრიგი ცხადდება არაუგვიანეს თვენახევრისა ყრილობამდე. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობებს იწვევს პარტიის ცენტრალური კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილ პარტიის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობები მოიწვევა ორი თვის ვადაში. ყრილობა კანონიერად ითვლება, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის ყველა წევრთა სულ ცოტა ნახევარი.

პარტიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ცენტრალური კომიტეტი.

32. იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 31-ე პუნქტში ნაჩვენებ ვადაში არ მოიწვია რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობა, იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოწვევა მოითხოვეს, უფლება აქვთ შექმნან საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც სარგებლობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებებით რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოსაწვევად.

33. ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და სხვა ცენტრალური ორგანიზაციების ანგარიშებს;

ბ) გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს პარტიის პროგრამასა და წესდებას;

გ) განსაზღვრავს პარტიის ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, განიხილავს და წყვეტს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

დ) ირჩევს ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას.

34. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია აირჩევა ყრილობის მიერ დაწესებული შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ კომიტეტს წევრები გამოაკლდებიან. მისი შემადგენლობა შეივსება ყრილობის მიერ არჩეულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა რიცხვიდან.

35. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს პარტიის, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მთელ საქმიანობას, ახორციელებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, წარმართავს ცენტრალური სახელმწიფოებრივი და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას ამ საზოგადოებათა პარტიული ჯგუფების მეშვეობით, ქმნის პარტიის სხვადასხვა ორგანოებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს მისი კონტროლით მომუშავე ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, ანაწილებს პარტიული ბიუჯეტის სახსრებს და კონტროლს უწევს მის შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელია სხვა პარტიებთან ურთიერთობაში.

36. სკკპ ცენტრალური კომიტეტი რეგულარულად აწვდის პარტიულ ორგანიზაციებს ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

37. ცენტრალური სარევიზიო კომისია რევიზიას უწევს პარტიის ცენტრალურ ორგანოებში საქმეების მსვლელობის სისწრაფესა და სისწორეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სალაროსა და საწარმოებს.

38. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ექვს თვეში ერთხელ მაინც მართავს პლენარულ სხდომას. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ცენტრალური კომიტეტის პლენუმების სხდომებს ესწრებიან სათათბირო ხმის უფლებით.

39. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ირჩევს: პლენუმიდან პლენუმამდე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის — პრეზიდიუმს; მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, უმთავრესად კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციის დარგში — სამდივნოს; ქმნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს.

40. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ცენტრალურ კომიტეტთან ქმნის პარტიული კონტროლის კომიტეტს.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი:

ა) ამოწმებს სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების მიერ პარტიული დისციპლინის დაცვას, პასუხისგებაში აძლევს იმ კომუნისტებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პარტიის პროგრამისა და წესდების, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევაში. აგრეთვე პარტიული მორალის დამრღვევთ;

ბ) განიხილავს აპელაციებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების გადაწყვეტილებათა გამო პარტიიდან გარიცხვისა და პარტიული სასჯელის შესახებ.

V.

პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები

41. რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციები და მათი კომიტეტები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სკკპ პროგრამითა და წესდებით, ეწევიან რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქისა და რაიონის ფარგლებში მთელ მუშაობას პარტიის პოლიტიკის განსახორციელებლად, აწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებას.

42. პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი ორგანოების ძირითადი მოვალეობაა:

ა) პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, მათი მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებისათვის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი ღონისძიების განვითარებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის;

ბ) იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაცია, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის კონტროლი;

გ) საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მათი პარტიული ჯგუფების მეშვეობით, მშრომელთა სულ უფრო ფართოდ ჩაბმა ამ ორგანიზაციების მუშაობაში, მასების თვითმოქმედებისა და აქტივობის განვითარება, როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობიდან კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე თანდათანობით გადასვლის აუცილებელი პირობა.

პარტიული ორგანიზაციები არ ეწევიან საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და მასობრივ-სახალხო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათთვის დადგენილ პარტიული და სხვა ორგანიზაციის ფუნქციების ჩანაცვლებას, არასაჭირო პარალელიზმს მუშაობაში;

დ) ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და განაწილება, მათი აღზრდა კომუნისტური იდეურობის, პატიოსნებისა და სიმართლის სულისკვეთებით, მინდობილი საქმისათვის პარტიისა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით;

ე) კომუნისტების ფართოდ ჩაბმა პარტიული მუშაობის განხორციელებაში როგორც შტატგარეშე მუშაკებისა, საზოგადო მოღვაწეობის წესით;

ვ) პარტიის სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოს, ორგანიზაცია თავისი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის ფარგლებში, მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა; პარტიის სახსრების განაწილება თავის ორგანიზაციაში; ზემდგომი პარტიული ორგანოს სისტემატური ინფორმაცია და მის წინაშე ანგარიშგება თავისი მუშაობის შესახებ.

პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები

43. საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენცია ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა, ხოლო მათი მოწვევიდან მოწვევამდე — საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

44. მორიგ საოლქო, სამხარეო კონფერენციას ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის მორიგ ყრილობას იწვევს საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო რიგგარეშე (საგანგებო) კონფერენციის ან ყრილობის მოწვევა ხდება საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ან იმ ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით, რომლებიც საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში შედიან. იმ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ (უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი), შეიძლება მოეწყოს ოთხ წელიწადში ერთხელ.

საოლქო, სამხარეო კონფერენციაზე, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს შესაბამისი პარტიული კომიტეტი.

საოლქო, სამხარეო კონფერენცია, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა ისმენს საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, თავისი შეხედულებისამებრ განიხილავს პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებს, ირჩევს საოლქო, სამხარეო, რაიონულ კომიტეტს, სარევიზიო კომისიასა და საოლქო, სამხარეო კონფერენციის ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობის დელეგატებს.

49. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ირჩევს ბიუროს, მათ შორის კომიტეტის მდივნებს, აგრეთვე ამტკიცებს კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს, გაზეთების რედაქტორებს. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის მდივნებისათვის სავალდებულოა, სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟი. კომიტეტების მდივნებს ამტკიცებს საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

50. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ქმნის და ამტკიცებს პირველადი პარტიულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, სისტემატურად ისმენს ანგარიშებს პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ, აწარმოებს კომუნისტების აღრიცხვას.

51. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის პლენუმი იმართება სამ თვეში ერთხელ მაინც.

52. საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს ჰყავს შტატგარეშე ინსტრუქტორები, ქმნის მუდმივ, ან დროებით კომისიებს პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე და იყენებს პარტიული კომიტეტის საქმიანობაში კომუნისტების საზოგადოებრივ საწყისებზე მიზიდვის სხვა ფორმებს.

პარტიის საოკრუგო, საქალაქო და რაიონული (სასოფლო და საქალაქო) ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები

48. საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საოკრუგო, საქალაქო, რაიონული პარტიული კონფერენცია ან კომუნისტების საერთო კრება, რომლებსაც იწვევს საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე კონფერენციების მოწვევა ხდება კომიტეტის გადაწყვეტილებით ან პარტიის იმ წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით, რომლებიც შესაბამის პარტიულ ორგანიზაციაში შედიან.

საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კონფერენცია (კრება) ისმენს კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, განიხილავს თავისი შეხედულებისამებრ პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებს. ირჩევს საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს, სარევიზიო კომისიასა და საოლქო, სამხარეო კონფერენციის ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობის დელეგატებს.

VI.

პარტიის პირველადი ორგანიზაციები

53. პარტიის საფუძველს წარმოადგენენ პირველადი ორგანიზაციები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები იქმნება პარტიის წევრთა მუშაობის ადგილის მიხედვით — ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა არმიის ნაწილებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხვ. თუ იქ პარტიის სამი წევრი მაინც არის. შეიძლება შეიქმნას აგრეთვე ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციები კომუნისტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოფლებში და სახლმართველობებთან.

54. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სადაც პარტიის 50-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, საერთო პირველადი პარტიული ორგანიზაციის შიგნით რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, საოკრუგო კომიტეტის ნებართვით შეიძლება შეიქმნას პარტიული ორგანიზაციები საამქროებში, უბნებში, ფერმებში, ბრიგადებში, განყოფილებებში და სხვ.

საამქრო, საუბნო და სხვა ორგანიზაციების შიგნით, აგრეთვე იმ პირველადი პარტორგანიზაციების შიგნით, რომლებშიც 50-ზე ნაკლები წევრი და კანდიდატია, შეიძლება შეიქმნას პარტიული ჯგუფები ბრიგადებსა და სხვა საწარმოო რგოლებში.

55. პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კრება, რომელიც იმართება თვეში ერთხელ მაინც.

დიდ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 300-ზე მეტი კომუნისტია, საერთო პარტიული კრება იმართება საჭიროების მიხედვით პარტკომის მიერ დაწესებულ ვადებში ან რამდენიმე საამქრო პარტორგანიზაციის მოთხოვნით.

56. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად პირველადი საამქრო პარტიული ორგანიზაცია ერთი წლით ირჩევს ბიუროს იმ რაოდენობით, რომელსაც პარტიული კრება აწესებს. პირველადს და საამქრო პარტორგანიზაციებში. სადაც პარტიის 15-ზე ნაკლები წევრია, ირჩევენ არა ბიუროს, არამედ პარტიული ორგანიზაციის მდივანსა და მის მოადგილეს.

პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნებისათვის სავალდებულოა სულ ცოტა ერთი წლის პარტიული სტაჟი.

პირველად პარტორგანიზაციებში, რომლებიც პარტიის 150-ზე ნაკლებ წევრს აერთიანებენ, განთავისუფლებული პარტიული მუშაკების თანამდებობანი, როგორც წესი, არ არის.

57. მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც პარტიის 300-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, ხოლო საჭირო შემთხვევებში, საწარმოო თავისებურებათა და ტერიტორიული გაფანტულობის გათვალისწინებით იმ ორგანიზაციებშიც, სადაც 100-ზე მეტი კომუნისტია, საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებართვით შეიძლება შეიქმნას პარტიული კომიტეტები, ამასთან ამ საწარმოთა, დაწესებულებათა საამქრო პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის უფლებები.

კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კომიტეტები შეიძლება შეიქმნას, თუ იქ 50 კომუნისტია.

პარტკომს ირჩევენ ერთი წლის ვადით, მის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საერთო პარტიული კრება, კონფერენცია.

58. პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკკპ პროგრამით და წესდებით. იგი ეწევა მუშაობას უშუალოდ მშრომელებში, აკავშირებს მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, რაზმავს მასებს პარტიის პოლიტიკის განსახორციელებლად, კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია:

ა) იღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ახალ წევრებს;

ბ) ზრდის კომუნისტებს პარტიის საქმისადმი ერთგულების, იდეური რწმენის, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით;

გ) აწყობს კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში, იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიონისტულ დამახინჯებათა ყოველი ცდისა და მისი დოგმატური განმარტების წინააღმდეგ;

დ) ზრუნავს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის შრომაში, საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, სასწავლებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში და სხვ.:

ე) გამოდის მშრომელთა ორგანიზატორად კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაწყვეტაში. მეთაურობს სოციალისტურ შეჯიბრებას სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის, რაზმავს მასებს საწარმოთა და კოლმეურნეობათა შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და უკეთ გამოყენებისათვის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(დასასრული)

თავის, იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ზრუნავს საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი სიმდიდრის დაცვისა და გამრავლებისათვის;

ვ) აწარმოებს საagიტაციო-მასობრივ და პროპაგანდისტულ მუშაობას, ზრდის მასებს კომუნიზმის სულისკვეთებით, ეხმარება მშრომელებს გამოიმუშაონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ჩვევები;

ზ) კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე ეწევა ბრძოლას ბიუროკრატიზმის, კუთხურობის გამოვლინებათა, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ, აღკვეთს სახელმწიფოს მოტყუების ცდებს, იღებს ზომებს მოშვებულობის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში;

თ) ხელს უწყობს საოკრუგო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიკომს მთელ საქმიანობაში და ანგარიშს აბარებს მას თავისი მუშაობის შესახებ.

პარტიული ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს, რომ თვითეული კომუნისტი მთელ თავის ცხოვრებაში თვითონ იცავდეს და მშრომელებს უნერგავდეს სკკპ პროგრამაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ პრინციპებს, როგორიც არის:

— კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

— კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს;

— თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის;

— საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;

— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

— ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა;

— პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;

— შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი;

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

— შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;

— ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

59. საწარმოო და სავაჭრო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, აგრეთვე წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული საპროექტო ორგანიზაციების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სარგებლობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებით.

სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებებისა და უწყებების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არ სარგებლობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის ფუნქციებით, აქტიურ გავლენას უნდა ახდენდნენ აპარატის მუშაობის სრულყოფაზე, ზრდიდნენ თანამშრომლებს მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, იღებდნენ ზომებს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მტკიცე ბრძოლას ეწეოდნენ ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან, დროზე აცნობებდნენ შესაბამის პარტიულ ორგანოებს, რა ნაკლოვანებანი აქვთ მუშაობაში დაწესებულებებს, აგრეთვე ცალკეულ მუშაკებს, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უჭირავთ მათ.

VII.

პარტია და კომკავშირი

60. ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პარტიის აქტიური თანაშემწე და რეზერვია. კომკავშირი ეხმარება პარტიას ზრდიდეს ახალგაზრდობას კომუნიზმის სულისკვეთებით, იზიდავდეს მას ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში, ამზადებდეს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობას, რომლებიც იცხოვრებენ, იმუშავებენ და საზოგადოებრივ საქმეებს განაგებენ კომუნიზმის დროს.

61. კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართო ინიციატივის უფლება აქვთ სათანადო პარტიული ორგანიზაციების წინაშე საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების მუშაობის საკითხების დაყენებასა და განხილვაში. ისინი საქმით უნდა იყონ პარტიული დირექტივების აქტიური გამტარებლები კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არის.

62. სრულიად საკავშირო ალკკ თავის მუშაობას ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას წარმართავენ და კონტროლს უწევენ შესაბამისი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობაში ეყრდნობიან კომკავშირულ ორგანიზაციებს, მხარს უჭერენ და ავრცელებენ მათს სასარგებლო წამოწყებებს.

63. სრულიად საკავშირო ალკკ წევრებად, რომლებიც პარტიის წევრები ან წევრობის კანდიდატები არიან, კომკავშირიდან გადიან პარტიაში მათი შესაბამისი მოსახლეობიდან, თუ ხელმძღვანელი პოსტები უჭირავთ კომკავშირულ ორგანიზაციებში.

VIII.

პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა არმიაში

64. საბჭოთა არმიის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სკკპ პროგრამითა და წესდებით და მუშაობენ იმ ინსტრუქციების საფუძველზე, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს.

საბჭოთა არმიის პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ პარტიის პოლიტიკის განხორციელებას შეიარაღებულ ძალებში, რაზმავენ მათს პირად შემადგენლობას კომუნისტური პარტიის გარშემო, ზრდიან მეომრებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, აქტიურად უწყობენ ხელს არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, ზრუნავენ მხედრული დისციპლინის განმტკიცებისათვის, რაზმავენ პირად შემადგენლობას საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამოცანების შესრულებისათვის, ახალი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებისათვის, თავისი მხედრული მოვალეობის, სარდლობის ბრძანებათა და განკარგულებათა უნაკლოდ შესრულებისათვის.

65. შეიარაღებულ ძალებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობას სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მეშვეობით, რომელიც მუშაობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების უფლებებით.

ოლქებისა და ფლოტების პოლიტსამმართველოთა უფროსებისათვის, არმიების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის სავალდებულოა ხუთი წლის, ხოლო შენაერთების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის — სამი წლის პარტიული სტაჟი.

66. საბჭოთა არმიის პარტიულ ორგანიზაციებსა და პოლიტორგანოებს მჭიდრო კავშირი აქვთ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან, სისტემატურად აწვდიან მათ ინფორმაციას ჯარის ნაწილებში წარმოებული პოლიტმუშაობის შესახებ. სამხედრო პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პოლიტორგანოების ხელმძღვანელები მონაწილეობენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მუშაობაში.

IX.

პარტიული ჯგუფები პარტიისგარეშე ორგანიზაციებში

67. ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე, რომლებსაც საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები იწვევენ, აგრეთვე ამ ორგანიზაციების არჩევითს ორგანოებში, სადაც პარტიის სამი წევრი მაინც არის, იქმნება პარტიული ჯგუფები. ამ ჯგუფების ამოცანაა პარტიის გავლენის ყოველმხრივ გაძლიერება და მისი პოლიტიკის განხორციელება უპარტიოთა შორის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, პარტიული და საბჭოთა დირექტივების შესრულების შემოწმება.

68. პარტიული ჯგუფები ექვემდებარებიან შესაბამის პარტიულ ორგანოებს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის სამხარეო კომიტეტს, საოლქო კომიტეტს, საოკრუგო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიონულ კომიტეტს.

პარტიული ჯგუფები მოვალენი არიან ყველა საკითხში მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებით.

X.

პარტიის ფულადი სახსრები

69. პარტიისა და მისი ორგანიზაციების ფულადი სახსრები შედგება საწევრო შენატანისაგან, პარტიის საწარმოთა შემოსავლისა და სხვა შემოსატანისაგან.

70. ყოველთვიური საწევრო შესატანი პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის წესდება შემდეგი ოდენობით:

ვისაც აქვს გამომუშავება თვეში	
50 მანეთამდე, შეაქვს	10 კაპიკი
51-დან 100 მანეთამდე შეაქვს	0,5 პროცენტი
101-დან 150 მანეთამდე „	1,0 პროცენტი
151-დან 200 მანეთამდე „	1,5 პროცენტი
201-დან 300 მანეთამდე „	2,0 პროცენტი
300 მანეთზე მეტი „	3,0 პროცენტი

თვიური გამომუშავებისა.

71. შესასვლელი შესატანი პარტიის წევრობის კანდიდატად შესვლისას გადახდილ უნდა იქნას თვიური გამომუშავების ორი პროცენტის ოდენობით.

პარტიის გეგმა ხალხის გეგმაა



ჯინ მოთვლის, რამდენი საუბარი ჩაუტარებია კომუნისტ აგიტატორს ჭ. ჭუმბურიძეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშებთან. მაგრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმით ატარებს იგი უკანასკნელ საუბრებს, რომლებიც სკკპ პროგრამის პროექტს ეხება.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა შ. ხუციანმა გადაიღო, ხედავთ, თუ როგორი დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით უსმენენ ქარხნის მუშები აგიტატორ ჭ. ჭუმბურიძეს, რომელიც მათ აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ქანიო კუადროსისადმი

2 აგვისტოს მსოფლიოში პირველი კოსმონავტი-მაიორი ი. ა. გაგარინი მიიღო ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა. საუბრის დროს გაგარინმა პრეზიდენტს გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ თქვენს ქვეყანაში გამოვგზავნეთ პირველი კოსმონავტი იური გაგარინი, როგორც მშვიდობის მოციქული, როგორც ადამიანი, რომელიც გადმოგცემთ თქვენ საბჭოთა ადამიანების გულწრფელ გრძნობებს — იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად ბრაზილიის ხალხთან, მსოფლიოს ყველა ადამიანთან.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ხალხების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

(საკდესი).

ა. ფანფანი ლენინგრადში

ლენინგრადი, 4 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან აქ სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ამინტორე ფანფანი, რომელიც სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით.

ლენინგრადის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო იტალიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სპეციალ სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ვ. სპირიდონოვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი და სხვები.

ბრაზილიის პრეზიდენტმა მიიღო ი. ა. გაგარინი

ბრაზილია, 3 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ნ. ჩიგირი იუწყება: ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა 2 აგვისტოს მიიღო მსოფლიოს პირველი კოსმონავტი — იური გაგარინი. ჟანიო კუადროსსა და იური გაგარინს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ი. ა. გაგარინმა ბრაზილიის პრეზიდენტს გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

საუბრის შემდეგ ბრაზილიის პრეზიდენტმა ოფიციალური პირებისა და ბრაზილიის და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით გადასცა იური გაგარინს ბრაზილიის ორდენი.

„თქვენ კაცობრიობისათვის აღმოაჩინეთ შემეცნების უმაგალითო და უსაზღვრო სფერო, რაც ხელს შეუწყობს ადამიანთა უკეთეს ურთიერთგაგებას და მშვიდობის განმტკიცებას, — განაცხადა ჟანიო კუადროსმა ორდენის გადაცემის დროს. ბრაზილიის მთავრობა გაჯილდოებთ თქვენ და სურს ამით გამოხატოს თავისი მადლობა და აღტაცება თქვენი შესანიშნავი მეცნიერული მიღწევის გამო, რომელმაც ასე აღგამაღლათ თქვენ, რუსი ხალხი და მისი მთავრობა. მოგილოცავთ“.

საპასუხო გამოსვლაში ი. ა. გაგარინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღებული ჯილდო მიაჩნია ჯილდოდ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობისათვის, რომელიც ხელმძღვანელობს კოსმოსის ათვისებას მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის.

ქალაქ ბრაზილიაში ჩამოსვლის შემდეგ ი. ა. გაგარინი ორ აგვისტოს დილით ეწვია ავიაციის მინისტრს გაბრიელ გრუმოსს და მივიდა ბრაზილიის კონგრესის შენობაში, სადაც მას მხურვალედ მიესალმნენ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე რანიერი მაძილი და კონგრესის წევრები.

ბრაზილიის დედაქალაქში ჩასვლით დამთავრდა იური გაგარინის ვიზიტი ლათინური ამერიკის ამ უდიდეს ქვეყანაში, სადაც პირველი კოსმონავტი მიიწვია პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა.

ნათელი გზა

ჯ. მიქაია,

გალის რაიონის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები, ისე როგორც მთელი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის პროგრამის პროექტს. ყოველ ჩვენგანს განუსაზღვრელად გვახარებს ის, რომ წილად გვხვდა ბედნიერება მონაწილეობა მივიღოთ კომუნიზმის დიადი შენობის აგებაში.

ჩვენს კოლმეურნეობაში სიმინდის ყანები 80 ჰექტარია გადაშმული. ნათესები საუკეთესოდ გამოიყურება. ეჭვი არ არის, რომ ნაკისრი ვალდებულება — ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი უდავოდ განხორციელდება.

პირადად მე წელს ვიკისრე ერთ ჰექტარზე მივიღო 120 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიშრომებთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.

მშობლიური პროგრამა

აკადემიკოსი რ. აგლაძე

კითხულობ და გიხარია, რომ შენი ქვეყანა, ხალხი ესოდენ ბრწყინვალე პერსპექტივის წინაშეა.

უველა დარგის მუშაკი პოულობს პროგრამის პროექტის ტექსტში მისთვის მშობლიურ სტრიქონებს.

მე, როგორც მკვლევარს, მახარებს, რომ პროექტი ითვალისწინებს წარმოებაში მეცნიერების შემდგომ მზარდ როლს. მეცნიერება სახალხო მეურნეობის უველა დარგის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. დასახულია წარმოებისა და მეცნიერების შერწყმა, რაც უდიდეს ნაყოფს გამოიღებს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად აღიარებულია სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ქიმიზაცია, ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება. დასახულია სასუქების, სუფთა ლითონების, ახალი შენადნობებისა და სინთეზური მასალების წარმოების მკვეთრი აღმავლობა.

ენერგომშენებლობის გეგმების განხორციელება შესაძლებელს გახდის ელექტროქიმიური და ელექტროთერმული მეთოდების ფართოდ გამოყენებას. განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ბევრ შემთხვევაში ნაკეთობათა შრომატევადი დამუშავება შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ელექტროქიმიური მეთოდებით.

პროგრამის პროექტი საბჭოთა მეცნიერების ღირსების საქმედ თვლის უველა ძირითად მიმართულებით წამყვანი მდგომარეობის დაკავებას მსოფლიო მეცნიერებაში.

ეჭვი არ არის, ეს ასეც იქნება.

ჩვენ ვჭედთ მომავალს

შ. ზუმბაძე,

სამგორის რაიონის ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი

1961 წინ არის საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებული სკკპ პროგრამის პროექტი... პარტია საბჭოთა ხალხის წინაშე სახავს ახალ უდიდეს ამოცანას — ააშენოს კომუნისტური საზოგადოების ნათელი შენობა.

პარტიის ახალი პროგრამის პროექტში აღნიშნულია რომ „სოფლის მეურნეობის განვითარებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები — წამყვანი სოციალისტური საწარმოები სოფლად“.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის, როგორც საგარეუბნო მეურნეობის, ძირითადი ამოცანაა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებითა და ხილბოსტნეულით.

ჩვენი კოლექტივის თვითეულ წევრს კარგად ესმის შრომის, ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის როლი საზოგადოების გარდაქმნაში. მოვალეობას, ღირსებას, სინდისს მიაყვეს ისინი შრომითი მამაცობისაკენ.

მიმდინარე წელს ჩვენმა მეურნეობამ სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 345 ცენტნერი ხორცი, 3.730 ცენტნერი რძე, 21.500 ცალი კვერცხი, 405 ცენტნერი ხილი, 460 ცენტნერი ბოსტნეული და სხვა პროდუქტები.

გათვალისწინებული გვაქვს წლის ბოლომდე სამშობლოს კიდევ მივცეთ ერთნახევარჯერ ამაზე მეტი პროდუქცია.

განიხილავენ რა პარტიის ახალი პროგრამის პროექტს, ჩვენი მეურნეობის კომუნისტები და მთელი კოლექტივი ვალდებულებას კისრულობენ მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და წარმოების გადიდებას.

მეურნეობის მწველავმა ივანიშვილმა ვალდებულება იკისრა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიაღოს 2.300 ლიტრი რძე ნაცვლად 1.800 ლიტრისა. ასეთივე ვალდებულებანი აიღისრეს მწველავებმა ს. გოგიჩაიშვილმა, კვერცხიშვილმა და გამჯავშვილმა, ხოლო მევენახეობის ბრიგადის უფროსი მუშის ა. ფიცხელაურის პირობაა წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა. ახალი შრომითი წარმატებისათვის იბრძოლებენ მეხილეობა-მებოსტნეობის ბრიგადის ხელმძღვანელები: გ. ფიცხელაური, შ. ვახტანგოვი და გ. ვახტანგოვი.

მეურნეობის კოლექტივი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს. იგი მზად არის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განახორციელოს კომუნისტური საზოგადოების „მშენებლობის დიადი წინასწარგასახულობანი.

სტუმრები კვიპროსიდან

4 აგვისტოს კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის წევრები გაწვიმოდნენ ქართველი ხალხის ცხოვრების გაცნობას. დილით პარლამენტარები რუსთაველ გაემგზავრნენ. აქ ისინი იყვნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. სტუმრებს აინტერესებდა წარმოების ორგანიზაცია, საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა, მუშათა შრომის პირობები. შემდეგ მათ დაათვალიერეს ქალაქი. რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიულ ცენტრში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ კვიპროსის პარლამენტარები იყვნენ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მეცნიერ მუშაკებთან საუბარში ისინი შეუხვნენ მიწის რწყვის საკითხებს. ეს პრობლემა უაღრესად მწვავე პრობლემაა კვიპროსის რესპუბლიკაში. დელეგაციის წევრებს უამბეს, თუ რა დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ვრცელი მიწის მასივების მორწყვისა და დაშრობის დარგში.

სტუმრებმა ექსკურსია ჩოაწყეს ქალაქში, იყვნენ თბილისის ძველ ნაწილში, ახალშენებლობათა რაიონებში, დაათვალიერეს სპორტის სასახლე, მათ აღნიშნეს, რომ ქართველმა ინჟინრებმა დიდი ხელოვნება გამოაჩინეს ამ შესანიშნავი შენობის აგების დროს.

საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. დ. კუბრიანემ სადილი გამართა კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ღამით კვიპროსის პარლამენტარები თბილისს გაემგზავრნენ. (საკდესი).

გული სიამაყით აივსო

რუსიკო სანოძე,

წულუკიძის ბრეშუმის ძაფსაღებსაგრები ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენოსანი

კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამოქვეყნების დღისათვის კომუნისტური შრომის ჩვენმა ბრიგადამ მორიგი გამარჯვება იზეიმა — ვადამდე, დიდი გადამეტებით შევასრულეთ პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება. ამასთან გათვალისწინებული 65 პროცენტის ნაცვლად პირველი ხარისხის ბრეშუმის ძაფის ამოღება 80 პროცენტამდე ავიყვანეთ და სამშობლოს ათობით კილოგრამი აბრეშუმის პარკი დავუზოგეთ.

ახალ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს რომ ვეცნობი, გული სიამაყით ივსება. კარგად ვიცი, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანის თავდადებულ შრომაზეა დამოკიდებული კომუნიზმის ზეიმის მოახლოება.

წულუკიძის ბრეშუმის ძაფსაღებ-საგრებ ფაბრიკაში ჩვენს ბრიგადას ყველაზე ადრე მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი. ახლა კი ჩვენთან კომუნისტური შრომის ეკვსი ბრიგადაა. მაგრამ ეს საკმარისი როდია. კომუნისტურ საზოგადოებაში ხომ ყველა კომუნისტურად უნდა შრომობდეს. ამიტომ არის, რომ პარტია ლომზრდელობითი მუშაობის ცენტრში აყენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას.

ამიერიდან მთელს ჩვენს მუშაობას საფუძვლად დავუდებთ მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას, ყველას კუთვნილებად გადაქცევას, ვიმუშავებთ პრინციპით: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

ჩვენმა ბრიგადამ მტკიცედ გადაწყვიტა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი სავალდებულოდ ჩათვალოს ბრიგადის თვითეული წევრისათვის. ვიშრომებთ ისე, რომ სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია და თერთმეტი თვის დავალების შესრულება ვუპატაკოთ პარტიის XXII ყრილობას.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՆԼՈՒԾԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ: ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆԻ ՊԱՇՏՈՆԱԹԵՐԹ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՆԼՈՒԾԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆԻ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐԸ ԵՎ ՏԵՂԵԿԱՏՎՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ

Հրատարակվում է 1961 թվականի հունվարի 1-ից անընդհատ

Խմբագրության հասցեն՝ Երևան, Կիևյան փող., 14 տուն։ Հեռ. 3-63-03, 3-63-04, 3-63-05, 3-63-06, 3-63-07, 3-63-08, 3-63-09, 3-63-10, 3-63-11, 3-63-12, 3-63-13, 3-63-14, 3-63-15, 3-63-16, 3-63-17, 3-63-18, 3-63-19, 3-63-20, 3-63-21, 3-63-22, 3-63-23, 3-63-24, 3-63-25, 3-63-26, 3-63-27, 3-63-28, 3-63-29, 3-63-30, 3-63-31, 3-63-32, 3-63-33, 3-63-34, 3-63-35, 3-63-36, 3-63-37, 3-63-38, 3-63-39, 3-63-40, 3-63-41, 3-63-42,